

**შპს „საქსპექტრანსი“
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შინაარსი

გვერდი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	9
2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	18
4 ძირითადი საშუალებები	20
5 საინვესტიციო ქონება	20
6 საგადასახადო აქტივი / (საგადასახადო ვალდებულება)	21
7 მარაგები	21
8 საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
9 ფული და ფულის ეკვივალენტები	21
10 საწესდებო კაპიტალი	22
11 სარეზერვო კაპიტალი	22
12 მიღებული სესხები	22
13 საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
14 შემოსავალი	23
15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	23
16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	23
17 საქველმოქმედო ხარჯი	23
18 არასაოპერაციო ხარჯი	23
19 არასაოპერაციო შემოსავალი	24
20 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	24
21 ფინანსური რისკის მართვა	24
22 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	26
23 დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები	27
24 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	27
25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს „საქსპექტრანსის“ ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ლევან ჯიმშელიაშვილი
გენერალური დირექტორი

ნინა გუგეშაშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „საქსპექტრანსი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს „საქსპექტრანსის“ ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:


- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ლევან ჯიმშელია
გენერალური დირექტორი



ნინა გუგუშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „საქსპექტრანსი“

თარიღი: 13 დეკემბერი, 2021

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**შპს "საქსპექტრანსის" მფლობელებისა და ხელმძღვანელობას****პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს "საქსპექტრანსის" (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით არ აქვს ჩატარებული მარაგების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, ჩვენ ვერ შეგძლია მარაგების ინვენტარიზაციაზე დასწრება და ინვენტარიზაციის დოკუმენტის მოპოვება. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით არსებული მარაგების ნაშთის სისწორეში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2,950,777 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ და აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე სრული შემოსავლების ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებასა და საქველმოქმედო ხარჯში ასახულ მარაგებთან დაკავშირებით 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სარეზერვო კაპიტალი და ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი წარმოადგენს სხვაობას ძირითადი საშუალებების შეფასებულ ღირებულებასა და ისტორიულ ღირებულებას შორის. აუდიტის გუნდმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების ნაშთზე 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ მაჩვენებლებსა და ცვეთის ხარჯზე შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ არსებით მუხლებთან დაკავშირებით, აგრეთვე, სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებში. ამას გარდა, კომპანიის მიერ დაქირავებულ დამოუკიდებელ შემფასებელს არ განუხორციელებია ავეჯისა და ტექნიკის შეფასება (ჯამური ღირებულებით 465,546 ლარი). კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და აუდიტის გუნდმა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შეძლო შესაფერისი და საკმარისი რწმუნების მოპოვება ამ აქტივების არსებობასა და ღირებულებაზე. შესაბამისად, არ ვიცით რამდენად არსებობს ამ ღირებულების აქტივებისა და მათი ცვეთის დაკორექტირების მიზეზი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

კომპანიის ბალანსზე ასახული საგადასახადო აქტივების ღირებულების სისწორეზე ვერ მოპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

პირობითი მოსაზრების საფუძველი (გაგრძელება)

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 282,571 ლარის ღირებულებით წარდგენილ სხვა რეზერვების მუხლთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კლასიფიკაციასთან მიმართებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ არსებით მუხლებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ("ასს") შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს "პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრებისთვის.

სხვა გარემოებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის აუდიტირებული იყო სხვა აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელმაც გამოსცა პირობითი მოსაზრება 2020 წლის 20 აგვისტოს. პირობითი მოსაზრების საფუძველი იყო ის ფაქტი, რომ ვერ მოხერხდა მარაგების ინვენტარიზაციის ჩატარება საანგარიშგებო თარიღისთვის. ასევე, ვერ მოხდა ძირითადი საშუალებების ღირებულებაზე რწმუნების მოპოვება. წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია ხსენებული თარიღისთვის კორექტირებულია ჩვენ მიერ მხოლოდ შესაბამისობისთვის (იხ. შენიშვნა 2.20). შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ამ მონაცემებზე.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმაოთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგვათ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვეთა არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან, ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-A-865011

თარიღი: 13 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო



შპს „საქსპექტრანსი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	14,902,283	15,561,853
საინვესტიციო ქონება	5	347,404	-
არამატერიალური აქტივები		10,370	8,072
ინვესტიცია		529	529
სხვა აქტივები		43,050	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,303,636	15,570,454
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივი	6	223,257	-
მარაგები	7	2,950,777	230,062
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	90,530	22,285
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	32,300	91,183
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,296,864	343,530
სულ აქტივები		18,600,500	15,913,984
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	13,821,985	18,375,159
სარეზერვო კაპიტალი	11	9,398,538	672,568
სხვა რეზერვი		282,571	282,571
დაგროვილი ზარალი		(5,814,520)	(4,406,945)
სულ კაპიტალი		17,688,574	14,923,353
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	780,466	814,364
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	131,460	175,611
საგადასახადო ვალდებულება	6	-	656
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		911,926	990,631
სულ ვალდებულებები		911,926	990,631
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		18,600,500	15,913,984

ლევან ჯიმშელიშვილი
 გენერალური დირექტორი

ნინა გუგეშაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „საქსპექტრანსი“

თარიღი: 13 დეკემბერი, 2021

შპს „საქსპექტრანსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	14,902,283	15,561,853
საინვესტიციო ქონება	5	347,404	-
არამატერიალური აქტივები		10,370	8,072
ინვესტიცია		529	529
სხვა აქტივები		43,050	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,303,636	15,570,454
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივი	6	223,257	-
მარაგები	7	2,950,777	230,062
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	90,530	22,285
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	32,300	91,183
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,296,864	343,530
სულ აქტივები		18,600,500	15,913,984
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	13,821,985	18,375,159
სარეზერვო კაპიტალი	11	9,398,538	672,568
სხვა რეზერვი		282,571	282,571
დაგროვილი ზარალი		(5,814,520)	(4,406,945)
სულ კაპიტალი		17,688,574	14,923,353
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	780,466	814,364
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	131,460	175,611
საგადასახადო ვალდებულება	6	-	656
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		911,926	990,631
სულ ვალდებულებები		911,926	990,631
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		18,600,500	15,913,984

ლევან ჯიმშელიშვილი
გენერალური დირექტორი




ნინა გუგუშაშვილი
მთავარი ბუღალტერი



შპს „საქსპექტრანსი“

თარიღი: 13 დეკემბერი, 2021

შპს „საქსპექტრანსი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	14	1,715,060	623,576
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(1,543,153)	(483,840)
საერთო მოგება		171,907	139,736
მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	5	298,812	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(700,052)	(1,417,225)
საოპერაციო ზარალი		(229,333)	(1,277,489)
საქველმოქმედო ხარჯი	17	(118,644)	-
არასაოპერაციო ხარჯი	18	(112,603)	(373,423)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი	4	(1,566,548)	-
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	8	32,564	(4,888)
არასაოპერაციო შემოსავალი	19	586,989	493
მიმდინარე წლის წმინდა ზარალი		(1,407,575)	(1,655,307)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის ზარალი		(1,407,575)	(1,655,307)
სხვა სრული შემოსავალი			
მოგება ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	4	8,725,970	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი / (ხარჯი)		7,318,395	(1,655,307)

ლევან ჯიმშელიშვილი
გენერალური დირექტორი

ნინა გუგეშაშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „საქსპექტრანსი“

თარიღი: 13 დეკემბერი, 2021

შპს „საქსპექტრანსი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	14	1,715,060	623,576
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(1,543,153)	(483,840)
საერთო მოგება		171,907	139,736
მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	5	298,812	-
საერთო და აღმინისტრაციული ხარჯი	16	(700,052)	(1,417,225)
საოპერაციო ზარალი		(229,333)	(1,277,489)
საქველმოქმედო ხარჯი	17	(118,644)	-
არასაოპერაციო ხარჯი	18	(112,603)	(373,423)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი	4	(1,566,548)	-
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	8	32,564	(4,888)
არასაოპერაციო შემოსავალი	19	586,989	493
მიმდინარე წლის წმინდა ზარალი		(1,407,575)	(1,655,307)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის ზარალი		(1,407,575)	(1,655,307)
სხვა სრული შემოსავალი			
მოგება ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	4	8,725,970	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი / (ხარჯი)		7,318,395	(1,655,307)

ლევან ჯიმშელაშვილი
გენერალური დირექტორი

შპს „საქსპექტრანსი“

თარიღი: 13 დეკემბერი, 2021

ნინა გუგუშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „საქსპექტრანსი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სარეზერვო კაპიტალი	სხვა რეზერვი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018	2,864,253	(2,751,638)	672,568	282,571	1,067,754
2019 წლის ზარალი	-	(1,655,307)	-	-	(1,655,307)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15,510,906	-	-	-	15,510,906
31 დეკემბერი 2019	18,375,159	(4,406,945)	672,568	282,571	14,923,353
2020 წლის ზარალი	-	(1,407,575)	-	-	(1,407,575)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	(4,553,174)	-	-	-	(4,553,174)
ცვლილება ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების გადაფასების რეზერვში	-	-	8,725,970	-	8,725,970
31 დეკემბერი 2020	13,821,985	(5,814,520)	9,398,538	282,571	17,688,574

ლევან ჯიმშელეიშვილი
გენერალური დირექტორი

ნინა გუგეშაშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „საქსპექტრანსი“

თარიღი: 13 დეკემბერი, 2021

შპს „საქსპექტრანსი“


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სარეზერვო კაპიტალი	სხვა რეზერვი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018	2,864,253	(2,751,638)	672,568	282,571	1,067,754
2019 წლის ზარალი	-	(1,655,307)	-	-	(1,655,307)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15,510,906	-	-	-	15,510,906
31 დეკემბერი 2019	18,375,159	(4,406,945)	672,568	282,571	14,923,353
2020 წლის ზარალი	-	(1,407,575)	-	-	(1,407,575)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	(4,553,174)	-	-	-	(4,553,174)
ცვლილება ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების გადაფასების რეზერვში	-	-	8,725,970	-	8,725,970
31 დეკემბერი 2020	13,821,985	(5,814,520)	9,398,538	282,571	17,688,574


 ლევან ჯიმშელაშვილი
 გენერალური დირექტორი


 ნინა გუგუშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „საქსპექტრანსი“

თარიღი: 13 დეკემბერი, 2021

შპს „საქსპექტრანსი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი		(1,407,575)	(1,655,307)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	4	287,028	555,566
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	8	(32,564)	4,888
მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან		(298,812)	
მარაგების ჩამოწერის შედეგად მიღებული ზარალი	18	-	304,942
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარჯი	4	1,566,548	-
მოგება ძირითადი საშუალებების კაპიტალიდან გატანიდან	19	(535,895)	-
ფინანსური ზარჯი	18	62,474	65,036
კურსთაშორისი სხვაობა		318	-
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		(358,478)	(724,875)
(ზრდა)/კლება მარაგებში		(2,720,715)	(179,515)
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(35,681)	(12,209)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(40,523)	103,000
ზრდა/(კლება) საგადასახადო ვალდებულებებში		(223,913)	(34,448)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(3,379,310)	(848,047)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(3,379,310)	(848,047)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(79,735)	(30,406)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		28,270	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,297)	(2,150)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		(53,762)	(32,556)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	12	-	111,905
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხის დაფარვა	12	(100,000)	(101,855)
საწესდებო კაპიტალის შევსება	10	3,474,507	937,975
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები		3,374,507	948,025
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)		(58,565)	67,422
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	91,183	23,899
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებზე		(318)	(138)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	32,300	91,183

ლევან ჯიმშელიშვილი
გენერალური დირექტორი

ნინა გუგეშაშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „საქსპექტრანსი“

თარიღი: 13 დეკემბერი, 2021

შპს „საქსპექტრანსი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი		(1,407,575)	(1,655,307)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	4	287,028	555,566
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	8	(32,564)	4,888
მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან		(298,812)	
მარაგების ჩამოწერის შედეგად მიღებული ზარალი	18	-	304,942
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი	4	1,566,548	-
მოგება ძირითადი საშუალებების კაპიტალიდან გატანიდან	19	(535,895)	-
ფინანსური ხარჯი	18	62,474	65,036
კურსთაშორისი სხვაობა		318	-
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		(358,478)	(724,875)
(ზრდა)/კლება მარაგებში		(2,720,715)	(179,515)
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(35,681)	(12,209)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(40,523)	103,000
ზრდა/(კლება) სავადასახადო ვალდებულებებში		(223,913)	(34,448)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(3,379,310)	(848,047)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(3,379,310)	(848,047)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(79,735)	(30,406)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		28,270	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,297)	(2,150)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		(53,762)	(32,556)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	12	-	111,905
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხის დაფარვა	12	(100,000)	(101,855)
საწესდებო კაპიტალის შევსება	10	3,474,507	937,975
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები		3,374,507	948,025
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)		(58,565)	67,422
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	91,183	23,899
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებზე		(318)	(138)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	32,300	91,183

ლევან ჯიმშელიშვილი
გენერალური დირექტორი

შპს „საქსპექტრანსი“

თარიღი: 13 დეკემბერი, 2021

ნინა გუგუშაშვილი
მთავარი ბუღალტერი

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქსპექტრანსი" (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია 2005 წლის პირველ აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სპეციალური ტრანსპორტის (ბაგირგზები, მონორელსური გზები, კაბელკრანები, ატრაქციონები, კონვეიერი, ბეირხიდები, სამგზავრო და სატვირთო ლიფტები) პროექტირება, კონსტრუირება, მშენებლობა, მონტაჟი, საექსპლუატაციო კადრების მომზადება და ტექნიკური დახმარების გაწევა, ასევე გზების პროექტირება და სარწყავ სისტემებში გამოსაყენებელი ფარებისა და ღარების წარმოება და რეალიზაცია.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი მეწილე და საბოლოო მფლობელი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“, რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ 100%-იანი წილით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის დირექტორი იყო გიორგი მესხი. 2021 წლის 31 მაისიდან კომპანიის დირექტორად დაინიშნა ლევან ჯიმშელიშვილი.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები

კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის წმინდა ზარალმა 2020 წელს შეადგინა 1,706,387 ლარი (2019: 1,655,307 ლარი). ფულადი ნაკადების კლებამ 2020 წლის განმავლობაში შეადგინა 58,565 ლარი (2019: ზრდა 67,422 ლარი). ზემოთ აღნიშნული უარყოფითი მაჩვენებლების მიუხედავად, კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ აღნიშნული მაჩვენებლები დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს კომპანიის ოპერირებისთვის, რადგან კომპანიას აქვს სახელმწიფომ მხარდაჭერა, რაც კომპანიას მისცემს შესაძლებლობას, რომ ფუნქციონირება განაგრძოს უახლოეს მომავალში.

კოვიდ 19-ის გავლენის შედეგად, მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში სხვადასხვა ინდუსტრია გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე დადგა. კომპანიამ არსებულ ვითარებაში შეაფასა მომავალი გეგმები (იხ. შენიშვნა 24), შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, არსებობს საკმარისი რწმუნება იმის შესახებ, რომ კომპანია ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

2.3 ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL), რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც გააჩნია შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება. შედეგად, ამ თარიღიდან კომპანია აქტივების შეფასებას ახორციელებს გადაფასების მოდელით, ხოლო მანამდე ძირითად საშუალებებს აღრიცხავდა თვითღირებულების მოდელით. აღნიშნული არ იწვევს წინა შესადარისი პერიოდის გადათვლას და შესაბამისად წინა პერიოდის რიცხვები უცვლელად არის წარმოდგენილი.

აქტივების შეფასების შედეგები კომპანიამ ასახა თავის 31 დეკემბრით მომზადებულ ანგარიშგებაში და თითოეული ქონების გადაფასება, ჩამოფასება და გადაფასების ნამეტი ასახა შესაბამისად მიმდინარე წლის მოგება-ზარალში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საკუთარი კაპიტალის ნაწილში.

2020 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები.

თუ გაუფასურება მოხდა, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები.

საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწა და დაუმთავრებელი წარმოება არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	25 წელი
მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
ავეჯი და საოფისე ტექნიკა	15 - 17 წელი

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რომელსაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაინედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

2.5 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის, კაპიტალის ზრდის ან ორივეს მისაღებად, და არა საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში გაყიდვის განხორციელების, წარმოებაში გამოყენების ან საქონლის და მომსახურებების მიწოდების, ან სხვა ადმინისტრაციული მიზნით. საინვესტიციო ქონება მოიცავს აგრეთვე დაუსრულებელ მშენებლობებს, რომლებიც დასრულების შემდეგ საინვესტიციო ქონება გახდება.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან როდესაც საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოოდ ხდება ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგებაში ან ზარალში. საკუთარ კაპიტალში საინვესტიციო ქონების გადაფასების რეზერვი გადადის გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც გადაფასებით მიღებული ნამეტის რეალიზება ხორციელდება აქტივის ჩამოწერის ან გასხვისების საფუძველზე.

2.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფუფიკური აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება ლიცენზიებისა და საბუღალტრო პროგრამებისგან. საბუღალტრო პროგრამები ამორტიზდება 10 წლიან სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

2.7 მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამუერნო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

2.8 წინასწარ გადახდილი თანხები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება 1 წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.9 ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, „ფასს 15“-ის შესაბამისად.

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება "მხოლოდ ძირის და პროცენტის" გადახდებთან (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება, როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ მართავს კომპანია აქტივებს ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი შეფასება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით;
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები).

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**2.9 ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდოდა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა.

იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა). სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გაცემული სესხებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად, კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360 დღე
რეზერვი %	2%	5%	10%	25%	50%	100%

დეტალები კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივების და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით მოცემულია 21-ე შენიშვნაში. სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.9 ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატივულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით აღნიშვნა.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველად ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

2.10 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

2.11 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. ნებადართული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

2.12 მიღებული სესხები

სესხები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.13 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

2.14 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის მიღებისა და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება თანხის მიღება. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე. კომპანიამ დაადგინა, რომ ის არის პრინციპული ყველა შემოსავლის ხელშეკრულებაში, რადგან ის არის მთავარი მოვალე, აქვს ფასის ცვლილებების შესაძლებლობა და ასევე ექვემდებარება მარაგების და საკრედიტო რისკს.

ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც შესრულების ვალდებულება შესრულებდა დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებიდან აღიარდება შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება, საანგარიშგებო პერიოდისთვის გაწეული ხელშეკრულების ხარჯების მთლიანი შეფასებული ხელშეკრულების ხარჯებთან შეფარდების პროპორციულად.

2.15 პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

2.16 მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.17 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ა) ბიზნესის განმარტება - შესწორებები ფასს 3-ში;
- ბ) არსებითობის განმარტება - შესწორებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში;
- გ) შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში;
- დ) საპროცენტო განაკვეთის შეფასების რეფორმა - შესწორებები ფასს 7, ფასს 9-სა და ბასს 39-ში.

ფასს 3-ში "საწარმოთა გაერთიანება" განხორციელებული შესწორებების შედეგად ცვლილებები შევიდა დანართი ა-ში "ტერმინების განმარტება" ნაწილში, სახელმძღვანელო მითითებებსა და ფასს 3 – ის საილუსტრაციო მაგალითებში. შესწორებები ცვლის ბიზნესის განმარტებას. ბიზნესს უნდა ჰქონდეს რესურსები და არსებითი პროცესი, რომელიც ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროდუქციის შექმნაში. ახალი სახელმძღვანელო ითვალისწინებს სტრუქტურულ საფუძვლებს იმის შესაფასებლად, როდის არის წარმოდგენილი რესურსები და არსებითი პროცესი, მათ შორის საწყის ეტაპზე მყოფი სამეურნეო ერთეულისათვის, რომლებიც არ აგენერირებენ პროდუქციას.

ბასს 1-სა და "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" და ბასს 8-ში "სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები" განხორციელებული შესწორებების შედეგად დაზუსტდა არსებითობის განმარტება და თავისებური გახდა კონცეპტუალურ საფუძვლებში გამოყენებულ განმარტებასთან.

შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით განსაზღვრავს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზნებსა და სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს.

ფასს 9-სა და "ფინანსური ინსტრუმენტები" და ფასს 7-ში "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები" განხორციელებული შესწორებების შედეგად შეიცვალა ჰეჯირების აღრიცხვის გარკვეული სპეციფიკური მოთხოვნები, რათა შეამსუბუქოს ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთების რეფორმით გამოწვეული გაურკვევლობის პოტენციური გავლენა. გარდა ამისა, ცვლილებების თანახმად, კომპანიებმა უნდა წარადგინონ დამატებითი ინფორმაცია მათი ჰეჯირების ურთიერთობების შესახებ, რომელზეც პირდაპირ გავლენას ახდენს ეს გაურკვევლობები.

სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისად იქნა კორექტირებული და მათი გავლენა გამჟღავნებულია ფინანსურ ანგარიშგებაში თუ შესაბამისი და არსებითია კომპანიისთვის. ამ სტანდარტების გავლენა არ იყო მნიშვნელოვანი და წინა პერიოდები არ დაკორექტირებულა. მოსალოდნელია, რომ ნებისმიერი ამჟამინდელი ან სამომავლო გავლენა მინიმალური იქნება, თუმცა, სადაც ეს კომპანიასთან შესაბამისია, დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

2.18 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- ა) სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17;
- ბ) ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი - შესწორებები ბასს 1-ში;
- გ) ძირითადი საშუალებები: შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებად - შესწორებები ბასს 16-ში;
- დ) მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებში - შესწორებები ფასს 3-ში;
- ე) წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება - შესწორებები ბასს 37-ში;
- ვ) 2018–2020 წლის ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება;
- ზ) აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში;
- თ) საპროცენტო განაკვეთის შეფასების რეფორმა - შესწორებები ფასს 4, 7, 9, 16-სა და ბასს 39-ში;
- ი) ფასს 16-ის შესწორებები - COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ჭირის დათმობები.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.18 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს 17 "დაზღვევის ხელშეკრულებები" ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებებში დადებული ინფორმაციის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და გამჟღავნების პრინციპებს. ის ასევე მოითხოვს, რომ მსგავსი პრინციპები ვრცელდებოდეს გადაზღვევის ხელშეკრულებებზე და ინვესტიციურ კონტრაქტებზე, რომლებიც მოიცავს დისკრეციული მონაწილეობის დებულებებს. ფასს 17 ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ განმარტავს მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების წარდგენასთან დაკავშირებით, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი. ასევე დაზუსტებულია ვალდებულების ანგარიშსწორების განმარტება. ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ბასს 16-ში "ძირითადი საშუალებები" უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ფასს 3-ში "საწარმოთა გაერთიანება" ანახლებს მითითებებს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით საწარმოთა გაერთიანების სააღრიცხვო მოთხოვნების შეცვლის გარეშე. ცვლილებები ვრცელდება წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

ცვლილებები ბასს 37-ში "ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" განსაზღვრავს იმ ხარჯებს, რომლებსაც საწარმო მოიცავს ხელშეკრულების ზარალის შესაფასებისას. ცვლილებები ვრცელდება წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება 2018–2020:

- ფასს 1 ამარტივებს შვილობილი კომპანიის მიერ ფასს 1-ს პირველად გამოყენებას კუშულაციურ საკუროს სხვაობებთან მიმართებაში, თუ შვილობილი კომპანია ფასს-ს იღებს მოგვიანებით, მშობელ კომპანიასთან შედარებით;
- ფასს 9 განმარტავს საკომისიოებს, რომლებსაც საწარმო მოიცავს შეფასებისას, მნიშვნელონად განსხვავდება თუ არა ახალი ან შესწორებული ფინანსური ვალდებულების პირობები საწყისი ფინანსური ვალდებულებისგან;
- ფასს 16-ის მე-13 საილუსტრაციო მაგალითიდან ამოღებულია ილუსტრაცია მეიჯარის მიერ განხორციელებულ გადახდებზე, რომელიც უკავშირდება იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობას.
- ბასს 41-ში ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა დაბეგვრასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გამორიცხვას სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, რის შედეგადაც ბასს 41-ში განსაზღვრული სამართლიანი ღირებულების გაზომვის მოთხოვნები თანხვედრაში იქნება სხვა სააღრიცხვო სტანდარტების მოთხოვნებთან.

ცვლილებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ცვლილებები ფასს 10-ში "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და ბასს 28-ის "ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში" განმარტავს ინვესტორისა და მის ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვების ან შენატანების აღრიცხვას. თუ არაფულადი აქტივები წარმოადგენენ საქმიანობას, ინვესტორი აღიარებს აქტივების გაყიდვების ან კონტრიბუციისაგან მიღებულ შემოსავალს ან ზარალს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტორი აღიარებს მოგებას ან ზარალს მხოლოდ სხვა ინვესტორის ინტერესების შესაბამისად, ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს მიმართ. ცვლილებები ვრცელდება წლიური პერიოდისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.

შესწორებები ფასს 4-ში, ფასს 7-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 39-ში - საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ფაზა 2. ამ ცვლილებების შედეგად სხვა საკითხებთან ერთად, საწარმოს:

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.18 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

- არ მოუწევს შეწყვიტოს აღიარება ან შეცვალოს ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება რეფორმით გათვალისწინებული ცვლილებებისთვის, მაგრამ ევალება განახლოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ალტერნატიული საბაზისო განაკვეთის ცვლილების ასახვის მიზნით.
- არ მოუწევს ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტა მხოლოდ იმიტომ, რომ კომპანია ცვლილებებს ახორციელებს რეფორმის ფარგლებში, თუ ჰეჯირება აკმაყოფილებს სხვა ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს; და
- ვალდებულია ექნება გაამჟღავნოს ინფორმაცია რეფორმის შედეგად წარმოშობილ ახალი რისკების შესახებ და როგორ ახდენს მისი ალტერნატიულ საბაზისო განაკვეთზე გადასვლის მართვას.

ცვლილებები ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

შესწორებები ფასს 16-ში "იჯარები" იძლევა გამარტივებული მიდგომის გამოყენების საშუალებას მოიჯარეებისთვის საიჯარო ქირის დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილებული იქნება განსაზღვრული პირობები, თუკი ცვლილება არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ამასთან, შესწორება გამოიყენება წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგომ.

კომპანიის მენეჯმენტი არ მოელოს, რომ ახალი სტანდარტებისა და შენიშვნების შეტანა მომავალში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.19 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასის-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

2.20 შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაცია რეკლასიფიცირებულია / შესწორებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამჟამინდელი წარდგენა უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც უტყუარია და უფრო შესაბამისი და გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის. გადაანგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად შეტანილი კორექტირებების შეჯამება, სრული შემოსავლების ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია შემდეგ ცხრილებში:

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის რეკლასიფიკაც გადანგარიშებუ		
	მიხედვით	ია	ლი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(447,155)	(36,685)	(483,840)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,458,798)	41,573	(1,417,225)
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	-	(4,888)	(4,888)
საერთო გავლენა მიმდინარე წლის სრული შემოსავალზე/(ხარჯზე)	(1,905,953)	-	(1,905,953)

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებსა და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

3.1 საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასის 9 -ის მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასის 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით.

იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას.

3.3 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასის 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, თუ არა, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

3.4 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

შპს "საქსპეცტრანსი"

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

4 ძირითადი საშუალებები	მიწა	შენობები	ავეჯი და საოფისე ტექნიკა	მანქანა - დანადგარები	სულ
ისტორიული ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბერი	519,758	1,026,278	83,916	315,491	1,945,443
შემოსვლა	1,313,200	13,226,231	-	63,906	14,603,337
2019 წლის 31 დეკემბერი	1,832,958	14,252,509	83,916	379,397	16,548,780
შემოსვლა	929,884	6,997,416	21,519	70,502	8,019,321
გასვლა	(1,700,421)	(14,239,402)	-	(104,636)	(16,044,459)
აკ. ცვეთის გადახურვა თვითღირებულებაზე	-	(387,423)	(79,234)	(263,250)	(729,907)
გადაფასების შედეგი	5,561,932	3,164,038	-	-	8,725,970
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	(15,752)	(1,550,796)	-	-	(1,566,548)
გადატანა საინვესტიციო ქონებაზე	(36,499)	(14,375)	-	-	(50,874)
2020 წლის 31 დეკემბერი	6,572,102	8,221,967	26,201	82,013	14,902,283
ცვეთა და გაუფასურება					
2018 წლის 31 დეკემბერი	-	163,411	65,913	202,037	431,361
წლის ცვეთა	-	511,221	7,660	36,685	555,566
2019 წლის 31 დეკემბერი	-	674,632	73,573	238,722	986,927
წლის ცვეთა	-	244,905	5,661	36,462	287,028
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	(532,114)	-	(11,934)	(544,048)
აკ. ცვეთის გადახურვა თვითღირებულებაზე	-	(387,423)	(79,234)	(263,250)	(729,907)
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბერი	519,758	862,867	18,003	113,454	1,514,082
2019 წლის 31 დეკემბერი	1,832,958	13,577,877	10,343	140,675	15,561,853
2020 წლის 31 დეკემბერი	6,572,102	8,221,967	26,201	82,013	14,902,283

2020 წლის განმავლობაში შპს "აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია" კაპიტალში შეიტანა 7,939,200 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები და ამავე პერიოდში კაპიტალიდან ამოიღო 16,028,109 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალება.

2021 წლის 18 ოქტომბრის შეფასების რეპორტის მიხედვით, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული ძირითადი საშუალებებიდან შეფასება ჩაუტარდა მხოლოდ მიწასა და შენობების ძირითად ნაწილს, ხოლო, 465,546 ლარის თვითღირებულების ძირითადი საშუალებები (მათ შორის, შენობების ნაწილი, ავეჯი და საოფისე ტექნიკა და მანქანა-დანადგარები) არ შეფასებულა.

ძირითადი საშუალებები არ არის გირაოთი დატვირთული.

5 საინვესტიციო ქონება

2020 წელი	მიწა	შენობა- ნაგებობები	სულ
სამართლიანი ღირებულება			
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	-	-	-
დამატებები	36,499	12,093	48,592
წმინდა მოგება სამართლიანი ღირებულების კორექტირებიდან	265,438	33,374	298,812
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	301,937	45,467	347,404

საინვესტიციო ქონება მოიცავს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 2,147 კვ.მ მიწას და 280 კვ.მ შენობა-ნაგებობებს.

შპს "საქსპექტრანსი"

ასსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

5 საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

2020 წლის განმავლობაში შპს "საქსპექტრანსი" იჯარით გაცემული ჰქონდა ქ. თბილისში, ქინძმარაულის #13-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და ქინძმარაულის №12-ში არსებული 280 კვ.მ სასაწყობო ფართი და 2,147 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. 2021 წლის 18 ოქტომბერს გამოცემული აქტივების შეფასების მიხედვით, აღნიშნული ქონებების რეალური ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 347,404 ლარს. საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2020 წელს შეადგინა 298,812 ლარი.

შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური კატეგორიისა და ადგილმდებარეობის ქონების შეფასებაში. გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები და შეფასება შეესაბამება ფასს (IFRS) 13-ის პრინციპებს. საინვესტიციო ქონების შეფასება მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეს.

საინვესტიციო ქონების შესაფასებლად გამოყენებულია საბაზრო შედარებითი და შემოსავლის მეთოდები.

6 საგადასახადო აქტივი / (საგადასახადო ვალდებულება)	31-დეკ-20	31-დეკ-19
გადახდილი / (გადასახდელი) დღგ	185,895	58,793
გადასახდელი ქონებისა და მიწის გადასახადი	(25,665)	-
გადახდილი / (გადასახდელი) საშემოსავლო გადასახადი	60,098	(59,449)
სხვა საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	2,929	-
სულ საგადასახადო ვალდებულება	223,257	(656)

7 მარაგები	31-დეკ-20	31-დეკ-19
ნედლეული და მასალები	1,942,969	72,954
კომპანიის მიერ წარმოებული მასალები	791,417	34,847
დაუმთავრებელი წარმოება	199,002	120,436
სხვა მარაგები	17,389	1,825
სულ მარაგები	2,950,777	230,062

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-20	31-დეკ-19
მოთხოვნები საიჯარო მომსახურებიდან	73,947	76,953
სავაჭრო მოთხოვნები	17,717	62,381
სხვა მოთხოვნები	47,377	27,056
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(111,541)	(144,105)
გადახდილი ავანსები	63,030	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	90,530	22,285

საექვო მოთხოვნების რეზერვი

2018 წლის 31 დეკემბერი	(139,217)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება წლის განმავლობაში	(4,888)
2019 წლის 31 დეკემბერი	(144,105)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება წლის განმავლობაში	32,564
2020 წლის 31 დეკემბერი	(111,541)

მოთხოვნები საიჯარო მომსახურებიდან ძირითადად მოიცავს ქ. თბილისში ქინძმარაულის #13-ში მდებარე შენობა-ნაგებობის და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაქირავებიდან მისაღებ თანხებს.

გადახდილი ავანსები მოიცავს კრედიტორებისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს.

9 ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-20	31-დეკ-19
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	32,300	85,023
ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	-	6,160
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	32,300	91,183

9 ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფულისა და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის.

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც B-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2007 წლის 23 აგვისტოს წესდების მიხედვით განისაზღვრა 818,110 ლარად, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“. 2018 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 39,718 ლარით და შემცირდა 1,758,533 ლარის ოდენობით.

2019 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 15,510,906 ლარის ოდენობით, კერძოდ კომპანიის კაპიტალში საბოლოო მფლობელის მიერ - შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“ კაპიტალში შემოტანილი იქნა სოფ. განმუხურში არსებული 10,683 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ღირებულებით 84,395,70 ლარი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები ღირებულებით 12,599,194 ლარი, ასევე კომპანიის კაპიტალში შემოტანილია სხვა აქტივები და ფულადი სახსრები ჯამური ღირებულებით - 2,911,712 ლარი.

2020 წლის განმავლობაში შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“ კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეიტანა 3,474,507 ლარი ფულადი სახით და 7,939,200 ლარის ძირითადი საშუალებები. ამავე პერიოდში შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“ კომპანიის კაპიტალიდან გაიტანა ძირითადი საშუალებები, ჯამური ღირებულებით 16,028,109 ლარი. შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 13,821,985 ლარს (2019: 18,375,159 ლარი).

2020 და 2019 წლების განმავლობაში კომპანიას არ გაუცია დივიდენდი.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებს კომპანიის მფლობელი იმის მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვს მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

11 სარეზერვო კაპიტალი

გადაფასების რეზერვი წარმოადგენს ძირითადი საშუალებების (კერძოდ, მიწისა და შენობების) გადაფასებისას მათი ღირებულების ზრდის შედეგად მიღებულ ნამეტს. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის გადაფასების რეზერვი შეადგენს 9,697,350 ლარს (2019: 672,568 ლარი).

12 მიღებული სესხები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
სესხის ძირი	506,678	603,000
დარიცხული პროცენტი	273,788	211,364
სულ მიღებული სესხები	780,466	814,364

კომპანიის სესხები მიღებულია მშობელი საწარმოს შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიისგან“. მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი 11 და 12 პროცენტია.

კომპანიის საპროცენტო ხარჯმა 2020 წელს შეადგინა 62,474 ლარი (2019: 65,036 ლარი).

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
გადასახდელი ხელფასი	79,547	64,346
მიღებული ავანსები	34,217	99,974
სავაჭრო ვალდებულებები	17,002	10,597
სხვა ვალდებულებები	694	694
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	131,460	175,611

შპს "საქსპექტრანსი"

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

14 შემოსავალი	2020	2019
რეალიზებული საქონლით მიღებული შემოსავალი	1,694,679	569,883
საიჯარო შემოსავალი	20,381	17,034
გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	-	31,659
სხვა შემოსავალი	-	5,000
სულ შემოსავალი	1,715,060	623,576

კომპანიის შემოსავლის დიდი ნაწილი კომპანიის წარმოებული საქონლის ე.წ. სარწყავი ფარებისა და ლარების, რკინის და მრავალჯერადი პირბადის რეალიზაციას უკავია, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე იყიდება.

კომპანიის შემოსავალი ასევე შედგება საკუთრებაში არსებული ქონების: სასაწყობო ფართისა და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის იჯარით მიღებული შემოსავლისგან.

15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2020	2019
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1,255,405	217,132
პირდაპირი ხელფასი	200,416	191,060
ცვეთის ხარჯი	36,462	36,685
პროექტების თვითღირებულება	22,572	13,744
პროექტებზე ჩამოწერილი საწვავი	-	21,556
სხვა ხარჯი	28,298	3,663
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	1,543,153	483,840

16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	250,566	518,881
ხელფასის ხარჯი	214,193	508,646
სოციალური დანარიცხები	36,558	-
პროექტების დანახარჯები	29,336	98,131
კომუნალური ხარჯი	26,122	155,157
ქონების გადასახადი	25,665	23,665
სხვა საგადასახადო ხარჯი	24,234	-
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	19,749	-
დაზღვევის ხარჯი	8,174	7,542
მომსახურების ხარჯი	4,762	59,532
რემონტის ხარჯი	3,208	-
იჯარის ხარჯი	2,038	-
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	-	19,503
საწვავის ხარჯი	-	6,408
სხვა ხარჯი	55,447	19,760
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	700,052	1,417,225

17 საქველმოქმედო ხარჯი

საქველმოქმედო ხარჯი მოიცავს COVID-19 პანდემიის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე უსასყიდლოდ გადაცემული 118,644 ლარის ღირებულების მარაგების ღირებულებას.

18 არასაოპერაციო ხარჯი	2020	2019
საპროცენტო ხარჯი	62,474	65,036
მარაგების ჩამოწერით მიღებული ზარალი	-	304,942
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	50,129	3,445
სულ არასაოპერაციო ხარჯი	112,603	373,423

19 არასაოპერაციო შემოსავალი	2020	2019
მოგება ძირითადი საშუალებების კაპიტალიდან გატანიდან	535,895	-
ვალდებულების ჩამოწერა	34,386	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16,708	493
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	586,989	493

20 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

20.1 საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების აღრიცხვის დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

20.2 პანდემიის გავრცელება და მასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

ამასთანავე, როგორც 24-ე შენიშვნაში აღინიშნა კორონავირუსის გავრცელების შესახებ (კოვიდ-19), იგი გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ ასევე გლობალურ ბაზრებზე. ზემოქმედების ზომა, მასშტაბები და ხანგრძლივობა არ არის ზუსტად განსაზღვრული. ბაზარზე, რომელშიც კომპანია ოპერირებს, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მენეჯმენტი თვლის, რომ ამ მოვლენას მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე.

20.3 მიმდინარე სასამართლო დავები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ჩაბმული იყო შემდეგ სასამართლო დავაში: 2018 წლის 16 თებერვალს მოსარჩელე გიორგი გოგიჩაშვილმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და შპს „საქსპექტრანსისგან“ (შპს „თბილგვირაბშენის“ უფლებამონაცვლე) მოითხოვა საწარმოო ტრავმის შედეგად შრომის უნარიანობის შემცირების გამო დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება და მიუღებელი 3 წლის სარჩოს სახით თანხის დაკისრება 17,245 ლარის ოდენობით. საქმეზე გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2020 წელს, ხოლო გაცემულია ორი სააღსრულებო ფურცელი: 2021 წლის 15 თებერვალს და 2021 წლის 05 მარტს. 2021 წლის 15 თებერვლის სააღსრულებო ფურცლით შპს „საქსპექტრანსი“, როგორც შპს „თბილგვირაბშენის“ უფლებამონაცვლე, ვალდებულია გიორგი გოგიჩაშვილს გადაუხადოს მიუღებელი სარჩო 17,245 ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით). 2021 წლის 05 მარტის სააღსრულებო ფურცლის თანახმად შპს „საქსპექტრანსი“ ვალდებულია გიორგი გოგიჩაშვილს გადაუხადოს ყოველთვიურად სარჩო 560 ლარი, რომელიც მოიცავს პერიოდს 2018 წლის 16 თებერვლიდან გიორგი გოგიჩაშვილის საპენსიო ასაკის მიღწევამდე.

21 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს **საბაზრო რისკს** (რომელშიც შედის: სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის და ფასების რისკი), **საკრედიტო რისკი** და **ლიკვიდობის რისკი**. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანა და მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა და უზრუნველყოფა, რომ რისკების ზემოქმედება დარჩეს მოცემულ ლიმიტებში.

21.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

21.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-20	31-დეკ-19
ფული და ფულის ეკვივალენტები	32,300	85,023
სავაჭრო მოთხოვნები	27,500	22,285
სულ ფინანსური აქტივები	59,800	107,308

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო მოთხოვნებს, რომელთა საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები სავაჭრო მოთხოვნებისთვის. დებიტორულ დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით და ქმნის შესაბამის ანარიცხებს.

21.2 საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებით ბ) საპროცენტო აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებით, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის ტრანზაქციების აბსოლუტური უმეტესობა ხორციელდება ლარში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს (წარმოებულ ფინანსურ აქტივებს) რომ მართოს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებით წარმოქმნილი რისკები. ამავდროულად კომპანია ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს, უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მართვის გზით. კომპანიას არ აქვს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიას სასესხო ვალდებულებები აქვს ლარში და საპროცენტო განაკვეთები არის ფიქსირებული. შესაბამისად, რისკის დონე მინიმუმამდეა შეფასებული.

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

21.3 ლიკვიდურობის რისკი

წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

2020 წლის 31 დეკემბერი	<1 წელზე	სულ
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27,500	27,500
ფული და ფულის ეკვივალენტები	32,300	32,300
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	(780,466)	(780,466)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (ავანსების გარდა)	(97,243)	(97,243)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(817,909)	(817,909)

2019 წლის 31 დეკემბერი	<1 წელზე	სულ
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22,285	22,285
ფული და ფულის ეკვივალენტები	91,183	91,183
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	(814,364)	(814,364)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (ავანსების გარდა)	(75,637)	(75,637)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(776,533)	(776,533)

22 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31-დეკ-20		31-დეკ-19	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები	122,830	122,830	113,468	113,468
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	90,530	90,530	22,285	22,285
ფული და ფულის ეკვივალენტები	32,300	32,300	91,183	91,183
ფინანსური ვალდებულებები	(877,709)	(877,709)	(890,001)	(890,001)
მიღებული სესხები	(780,466)	(780,466)	(814,364)	(814,364)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (ავანსების გარდა)	(97,243)	(97,243)	(75,637)	(75,637)

23 დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შედგალების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარესთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

მიღებული სესხების ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-20	31-დეკ-19
დამფუძნებლისგან მიღებული სესხის ძირი	506,678	603,000
გადასახდელი პროცენტი	273,788	211,364
საპროცენტო ხარჯი	2020	2019
დამფუძნებლისგან მიღებულ სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	62,474	65,016
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2020	2019
ხელფასი და პრემია	43,921	43,482
დავალიანებები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-20	31-დეკ-19
დავალიანება დამფუძნებლისადმი	-	3,222
საქველმოქმედო ხარჯები დაკავშირებულ მხარეებთან	2020	2019
სხვა დაკავშირებული მხარეები	118,644	-

24 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში. საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში კომპანიის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ძალიან მცირეა იმისთვის, რომ უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირება. კომპანია მთლიანად დამოკიდებულია მთავრობის შენატანებზე. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია ახლო მომავალშიც განაგრძობს თავის საქმიანობას სახელმწიფოს მხარდაჭერით, რადგან იგი ემსახურება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს, რომელიც მუდმივად უნდა გაგრძელდეს.

25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამატკიცა 2021 წლის 22 ნოემბერს.

2020 წლის დასაწყისიდან, მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა კორონავირუსი (კოვიდ-19) და 2020 წლის 11 მარტს "მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ" ვირუსი ეპიდემიად გამოაცხადა. ვირუსის გავრცელების შედეგად სიტუაცია სწრაფად ცვალებადია. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც გლობალურ, ისე ადგილობრივ ბაზრებზე. ამასთან, მას მნიშვნელოვანი პირდაპირი შედეგი არ ჰქონია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის.

ბალანსის თარიღის შემდგომ, შპს "აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია" შპს "საქსპექტრანსის" კაპიტალში ფულადი სახით შეიტანა 273,594 ლარი, 1,642,107 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები და 271,974 ლარის ღირებულების მარაგი.

2021 წლის 31 მაისს შპს "საქსპექტრანსის" დირექტორად დაინიშნა ლევანი ჯიმშელიშვილი.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.
